დანართი 7

საბაზისო გამოცდის სტანდარტი L კატეგორიის საჰაერო ხომალდის ტექნიკური მომსახურების მოწმობისთვის

1. მე-7 დანართის საბაზო ცოდნის მოთხოვნებთან დაკავშირებული გამოცდების სტანდარტი.

   1.1 ყველა გამოცდა უნდა ჩატარდეს ტესტური ფორმატით როგორც ეს გაწერილია მე-2 პუნქტში. საგანის არმცოდნისთვის, არასწორი ალტერნატიული პასუხები უნდა ჩანდეს ერთნაირად სარწმუნო. ყველა ალტერნატიული პასუხი აშკარა კავშირში უნდა იყოს კითხვასთან, ანალოგიური ლექსიკით, გრამატიკული წყობით და წინადადების სიგრძით. რიცხვით კითხვებში მცდარი პასუხები უნდა შეესაბამებოდეს არასწორ მოქმედებებს, როგორიცაა არასწორი კორექტირება და ერთეულების გადაყვანა, პასუხები არ უნდა იყოს ცხადად შემთხვევითი რიცხვები.

   1.2 თითოეულ ტესტურ კითხვას უნდა ჰქონდეს სამი ალტერნატიული პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი და კანდიდატს ერთ კითხვაზე საშუალოდ უნდა მიეცეს 75 წამი.

   1.3 თითოეულ მოდულზე ტესტური გამოცდის გამსვლელი ქულა არის 75%.

   1.4 არ გამოიყენება უარყოფითი შეფასება (უარყოფითი ქულა არასწორ პასუხზე).

   1.5 ცოდნის დონე რომელიც მოითხოვება ტესტური კითხვებით პროპორციული უნდა იყოს საჰაერო ხომალდის კატეგორიის დონის.

2. კითხვების რაოდენობა თითოეული მოდულისთვის:
   2.1 მოდული 1L - საბაზო ცოდნა: 12 ტესტური კითხვა. განკუთვნილი დრო 15 წუთი.
   2.2 მოდული 2L - ადამიანური ფაქტორი: 8 ტესტური კითხვა. განკუთვნილი დრო 10 წუთი.
   2.3 მოდული 3L - საავიაციო კანონმდებლობა: 24 ტესტური კითხვა. განკუთვნილი დრო 30 წუთი.
   2.4 მოდული 4L - ხის, ლითონის მილაკის და ქსოვილის კონსტრუქცია: 32 ტესტური კითხვა. განკუთვნილი დრო 40 წუთი.
   2.5. მოდული 5L - კომპოზიტური კონსტრუქცია: 32 ტესტური კითხვა. განკუთვნილი დრო 40 წუთი.
   2.6 მოდული 6L - მეტალის კონსტრუქცია: 32 ტესტური კითხვა. განკუთვნილი დრო 40 წუთი.
   2.7 მოდული 7L - ძირითადი კონსტრუქცია: 64 ტესტური კითხვა. განკუთვნილი დრო 80 წუთი.
   2.8 მოდული 8L - ძალური დანადგარი: 48 ტესტური კითხვა. განკუთვნილი დრო 60 წუთი.
   2.9 მოდული 9L -სითბური აეროსტატები/ სითბური დირიჟაბლები: 36 ტესტური კითხვა. განკუთვნილი დრო 45 წუთი.
   2.10 მოდული 10L - გაზის აეროსტატები/გაზის დირიჟაბლები: 40 ტესტური კითხვა. განკუთვნილი დრო 50 წუთი.
   2.11 მოდული 11L - სითბური დირიჟაბლები/გაზის დირიჟაბლები: 36 ტესტური კითხვა. განკუთვნილი დრო 45 წუთი.
   2.12 მოდული 12L - რადიო კავშირგაბმულობა/საავარიო მიმყვანი გადამცემი/ მიმღებ-მოპასუხე/ ხელსაწყოები - 16 ტესტური კითხვა. განკუთვნილი დრო 20 წუთი.